# „ჰომეოპათია ზოგჯერ კლასიკურ მედიცინაზე სწრაფად იძლევა შედეგს“

**დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰომეოპათია დიდი ხანია წარმატებით სარგებლობს. ჰომეოპათია მშვიდი, კარგად აპრობირებული სამკურნალო სისტემაა, რომლის მიზანიც ბუნებრივი საშუალებების მეშვეობით ადამიანის განკურნებაა. რამდენიმე დღის წინ ჰომეოპათიის ქართულ აკადემიას შვეიცარიელი დიპლომატიური ჰომეოპათი მარტინ პერენი ეწვია, რომლის აზრითაც, მედიცინის ეს დარგი საქართველოშიც უნდა განვითარდეს, მით უმეტეს, რომ ქართველებს ამ დარგში შესანიშნავი სპეციალისტები ჰყავთ. ბატონი მარტინის მასპინძელია ჰომეოპათიის აკადემიის რექტორი, საქართველოს ჰომეოპათთა კავშირის თავმჯდომარე, ევროკავშირის ჰომეოპათიის კომიტეტის წევრი და ექსპერტი ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.**


თინათინ თოფურია


მარტინ პერენი

— მოხარული ვიყავი იმის, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ჩვენთან ისე განვითარდა ჰომეოპათია და ისეთი სკოლა შეიქმნა, რომ საქართველოს ჰომეოპათთა კავშირი 2005 წელს ევროკავშირში მიიღეს და ექსპერტად მიმიწვიეს. ევროკავშირის ქვეყნებში ჰომეოპათიის განვითარების პროცესი არ წყდება: იქმნება სასწავლო პროგრამები, შეისწავლიან სხვადასხვა წამალს, სისტემატურად მიმდინარეობს სერიოზული საგანმანათლებლო პროცესი.

**— იქნებ განგვიმარტოთ, რას მოიცავს ჰომეოპათია?**

— ჰომეოპათი არის ექიმი, რომელიც კლასიკურ სამედიცინო განათლებასთან ერთად უნდა ფლობდეს ჰომეოპათიურ ცოდნასაც. მე კლასიკური მედიცინის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ პრაქტიკამ მაჩვენა, რომ ბევრ დაავადებასთან ბრძოლისას მედიცინა ხშირად ჩიხში შედის, ამას რომ მივხვდი, გადავწყვიტე შემესწავლა ჩინური, ტიბეტური, ინდური მედიცინა, ასევე ულტრათანამედროვე ლაზერული თერაპია. მათ შორის ყველაზე უნივერსალური ჰომეოპათია აღმოჩნდა. საერთოდ, ექიმმა უნდა გამოიყენოს ყველა მეთოდი, რომელიც პაციენტის განკურნებაში დაეხმარება. თუ საჭიროა, ანტიბიოტიკებსაც ვნიშნავ და ხანდახან სხვა ქიმიურ წამალსაც.

**— აღნიშნეთ, რომ ჰომეოპათია საქართველოში განვითარებული დარგია.**

— მისი განვითარებისთვის საქართველოში თავის დროზე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა. ეს არის საკმაო სპეციალობები, რეზიდენტურა, სადაც სტუდენტს შეუძლია ეს დარგი შეისწავლოს. ჩვენს აკადემიაში ექიმს შეუძლია გადამზადების კურსი გაიაროს. ტარდება ტრენინგები, ერთი სიტყვით, ამ მხრივ ხელშეწყობა არის. ვთანამშრომლობთ რამდენიმე უცხოურ ინსტიტუტთან. შვეიცარიის ერთ-ერთი ინსტიტუტის წარმომადგენელი, ბატონი ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲞᲔᲠᲔᲜᲘ უკვე მეორედ ჩამოდის საქართველოში და ექიმ-ჰომეოპათების კვალიფიკაციის ამაღლებაში გვეხმარება. მას ძალიან საინტერესო ლექციები აქვს. წელს დავიწყეთ პაციენტთა საქველმოქმედო მიღებაც.

**— ამჟამად რაზე კეთდება აქცენტი?**

— მინერალური ცვლის მოშლაზე ახალშობილობის პერიოდიდან. დღეს ჩვენს ქვეყანაში ეს პრობლემა აქტუალურია. ბავშვებს სუსტი ძვლები აქვთ, როგორც ჩანს, ამის გამომწვევია დაბინძურებული გარემო და რადიაცია. დაშორებულ რეგიონებში, სადაც ბევრ ოჯახს არ აქვს საშუალება, სრულფასოვნად კვებოს მოზარდი და ამის შედეგს მარტივად ვხედავთ. ზრდასრულ და ხანდაზმულ ასაკში კვების დეფიციტი გამოიხატება ოსტეოპოროზით, რომლით დაავადებულთა რიცხვმაც ჩვენში კატასტროფულად იმატა, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდებშიც. მინერალური ცვლის მოშლა გულისხმობს ორგანიზმში მიკროელემენტების ათვისებისა და სწორად გადანაწილების უნარის დაქვეითებას, რაც ძვალსახსროვანი სისტემის სიმყარეს განაპირობებს. ბატონ მარტინს და მის ინსტიტუტს ოსტეოპოროზის მკურნალობის საინტერესო და ეფექტიანი მეთოდი აქვთ, ვიტოვეთ და სიამოვნებით გაგვიზიარა. ახლა მოდიოდა ამ პრობლემის დასაძლევად არა მარტო ძლიერმოქმედი ქიმიური წამლების, არამედ ჰორმონების დანიშვნაც, რასაც ჰომეოპათები კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

**— რა უპირატესობა აქვს ჰომეოპათიას კლასიკურ მედიცინასთან შედარებით?**

— ჰომეოპათია ბუნებრივი საშუალებების მიკროდოზებით მკურნალობაა, აქ ბალახებიც არის, მინერალებიც, მეტალებიც და სხვა ნივთიერებებიც, ანუ ეს დარგი იყენებს ბუნებრივ საშუალებებს.

**— რომელ დაავადებებს უმკლავდება ჰომეოპათია?**

— ნებისმიერს. გააჩნია, რომელ სტადიაშია დაავადება და შეუძლია თუ არა ორგანიზმს, გაუმკლავდეს პროცესს. განკურნება გარკვეულ დროს მოითხოვს. არსებობს აზრი, რომ ჰომეოპათია ნელა მუშაობს, მაგრამ ეს ასე არ არის, ის კლასიკურ მედიცინაზე გაცილებით სწრაფად იძლევა შედეგს. რეანიმაციას და ქირურგიას არ ვგულისხმობ, ეს გამონაკლისია. ალერგიის, ოსტეოპოროზისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემების, ნევროზის გარკვეული ფორმების დროს და ბავშვთა სამკურნალოდ — გაციება, ტონზილიტი, ანგინა, ჰაიმორიტი — ჰომეოპათია შეუცვლელია.

**— ქართველების უმეტესობა სკეპტიკურად უყურებდა მედიცინის ამ დარგს, თუ გაიზარდა ბოლო დროს თქვენი პაციენტების რიცხვი?**

— რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია ნდობა ამ დარგის მიმართ. ზოგიერთ ქვეყანაში უკვე 50%-დან 85%-მდე გაიზარდა ჰომეოპათიური საშუალებებით განკურნების მსურველთა რიცხვი. მოსახლეობის უმრავლესობა უარს ამბობს ქიმიურ წამლებზე.

ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲞᲔᲠᲔᲜᲘ, **დიპლომატიური ჰომეოპათი:**

— მეორე წელიწადია, საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიასთან ვთანამშრომლობ, ჩემი მიზანია საქართველოში ექიმ-ჰომეოპათების კვალიფიკაციის ამაღლება. ქართველ ჰომეოპათებს არ აქვთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება, ამიტომ გადავწყვიტე, ტრენინგები უშუალოდ ჩამეტარებინა.

**— თუ არის ამ დარგის საქართველოში განვითარების პერსპექტივა?**

— აქ ამჟამად დაახლოებით ისეთი, როგორიც ადრე ჩვენთან, შვეიცარიაში იყო. თუ სადაზღვევო სისტემაში დაინერგება ჰომეოპათია და შეიქმნება ეფექტური დახმარების, სკეპტიკური აზრი მის მიმართ გაქრება. ჯანდაცვის სისტემამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ამ დარგს განვითარების მიეცეს. ხშირად ვფიქრობ, რომ ჰომეოპათია არის ალტერნატიული მედიცინა, მაგრამ ასე არ არის, ჰომეოპათია ჩვეულებრივი სამედიცინო დარგია.

**— თქვენი ურთიერთობა ქართულ ჰომეოპათიურ აკადემიასთან მომავალშიც გაგრძელდება?**

— აუცილებლად. ვეცდები ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ და დაეხმარონ ქართველ კოლეგებს. ჩვენი მიზანი ქართული ჰომეოპათიის განვითარებაა. მისი დახმარებით შესაძლებელია როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული დაავადებების განკურნება. საქართველოში ჰომეოპათია უნდა განვითარდეს, რადგან ჰომეოპათიური წამლები გაცილებით იაფია.

**— სადაზღვევო პაკეტში თუ შედის ჰომეოპათიის მომსახურება?**

— მოსახლეობის დაახლოებით 70% ირჩევს ჰომეოპათიას, შვეიცარიაში სახელმწიფო დაზღვევა არ არსებობს, ყველა ინდივიდუალურად არის დაზღვეული. არის ერთი, ძირითადი სამედიცინო დახმარების პაკეტი, მასთან ერთად ირჩევ დამატებით დაზღვევასაც. ჩემი პაციენტების 80%-ს ამ ძირითად დაზღვევასთან ერთად მეორე — ჰომეოპათიის დაზღვევაც აქვთ. მაისში ჩატარდა გამოკითხვა და მოსახლეობის აზრიც გაირკვა — ჰომეოპათია მათ კლასიკურ მედიცინას გაუთანაბრეს. ამჟამად ამ საკითხს პარლამენტშიც ამუშავებენ, რათა ჰომეოპათიური მომსახურება ისევ ძირითად სადაზღვევო პაკეტში შევიდეს.

მიხარია, რომ ჩვენი ქართველი კოლეგები დიდი ენთუზიაზმით არიან განწყობილნი და საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს.

## გიპასუხებთ ექიმი



**— მყავს 9 თვის ბიჭუნა, როდესაც ტირის, სულ მგონია, რომ რაღაც სტკივა, როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ტირილი თუნდაც მუცლის ან ყურის ტკივილს უკავშირდება?**

***(ირინა, 26 წლის).***

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲛᲐᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ, პედიატრი:

— მუცლის ტკივილის დროს ბავშვის ტირილი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება, მას ერთგვარი წამოკივლებები ახასიათებს. უარს ამბობს საკვებზე, ფეხები მიაქვს მუცელთან ან ერთმანეთს უსვამს. ასეთი ტკივილი ხშირად შეტევით ხასიათს ატარებს და მას მეტეორიზმი (გაზების დაგროვება) იწვევს. ამ დროს კარგი იქნება, თუ ბავშვს მუცელზე ფრთხილად მოუსვამთ ხელისგულს, გაზების დაგროვების შემთხვევაში ასევე მისაღებია (ექიმის მითითებით) სწორ ნაწლავში სპეციალური პატარა მილის ჩადგმა ან თბილი აბაზანები.

ყურის ტკივილის დროს კი პატარა ტირის, განუწყვეტლივ ჭირვეულობს, ასევე აღინიშნება თავის ქანაობრივი მოძრაობები, ხელს იკიდებს ან მიაქვს მტკივან ყურთან. შეიძლება აღინიშნოს სხეულის ტემპერატურის მომატებაც, უარს ამბობს ჭამაზე. ყურის ტკივილს შესაძლოა ახლდეს ყურიდან გამონადენიც. ამ შემთხვევაში, ვიდრე ბავშვს ექიმთან მიიყვანთ, მტკივან ყურზე პატარა თბილი ბალიში უნდა დაადოთ, გამონადენის შემთხვევაში კი მშრალად გარეთა სასმენი მილი გამოასუფთაოთ. ყურის ტკივილის პროფილაქტიკისთვის საჭიროა, რომ ბავშვი ცხვირით თავისუფლად სუნთქავდეს. გამონადენის დროს კი ექიმის მოსვლამდე კატეგორიულად აკრძალულია ყურში რაიმე, თუნდაც ფართოდ მიღებული ყურის წვეთების ან სპირტის ჩაწვეთება.